დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნოდარ ანგურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრი:
მანანა ალიბეგაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236087818

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძეგვი
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა N5
საფოსტო ინდექსი	3307
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dzegvi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	+995 577 971 114

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება MES 9 25 0001304676
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	30 და 31 ოქტომბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი და ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. ვიზიტის ორივე დღეს წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. ვიზიტის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი, გავაცანით მიგნებები.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
450	339

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა არგუმენტირებული პოზიცია, ამიტომ, ერთადერთი ხარვეზი (3.3.1.4.) გადავიდა სრულ შესაბამისობაში, რადგან სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცის დებულება“. ხოლო, რეკომენდაციები, რომელიც გაცემული იყო დასკვნის პროექტში, იგივე დარჩა, მხოლოდ მცირე ცვლილებით, კერძოდ, შეიცვალა შესრულების თარიღი, ახალი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს „კადრების შერჩევის პროცედურები სკოლის დონეზე და ასევე შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ცნობების გარდა გაითვალისწინოს **ინდიკატორში აღწერილი** პირადი საქმეების მოწესრიგებისთვის ყველა დანაკლისის შევსება. ამ აქტივობის შესრულების ვადებია 10/31/2025-1/3/2026*
ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: აიყვანოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმი. ამ აქტივობის შესრულების ვადებია 10/31/2025-1/3/2026*

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებდეს სკოლის ინკლუზიურ გარემოს მოთხოვნებს (მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლისთვის გადაადგილების საშუალება მოაწყოს). ამ აქტივობის შესრულების ვადებია 31.10.2025-31.10.2027*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

ინდიკატორი 3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლას ეძლევა რჩევა: ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ დადოს სკოლის ვებგვერდზე.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.4.1.	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*	*სკოლას მიეცა რჩევა ბუფეტის მეპატრონემ მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ინსპექტირების მიზნით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. კერძოდ, სკოლის მისიაა მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობით მიაღწიონ თავისუფალი ადამიანის აღზრდას თავისუფალ და უსაფრთხო გარემოში. მოსწავლეებს მისცენ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლება, დამოუკიდებელი, კრიტიკული.ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებით უზრუნვეყონ, კანონმორჩილი, ჰარმონიულად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, ადაპტაციის უნარის მქონე, ეროვნული ინტერესების გამტარებელი, ტოლერანტი, საზოგადოებრივად აქტიური,დემოკრატიული პრინციპების მქონე მოსწავლის აღზრდა.სკოლის ხედვაა შვიდი წლის განმავლობაში შექმნას მისიით განსაზღვრული გარემო, სადაც მოსწავლეთა 70%-ს ექნება მაღალი სასკოლო მოტივაცია,ხოლო 30%-ს კი სკოლისადმი დადებითი დამოკიდებულება.სკოლის მთავარი პრინციპებია: განათლებაზე ორიენტირება, საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგება და შედეგზე ორიენტირება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ინკლუზიურობა გამჭირვალობა, საჯაროობა, კოლეგიალობა და ფორმალური და არაფორმალური განათლების ურთიერთქმედება. სწორედ ფორმალური და არაფორმალური განათლების ურთიერთ კავშირი და აქტიური თანამშრომლობის კულტურაა რითაც სკოლა განსაზღვრავს საკუთარ თავს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სასკოლო საზოგადოებისგან შედგენილი სამუშაო ჯგუფი, რომელის მიზანია სკოლის ფილოსოფიის შემუშავება. ამავე დოკუმენტის მე-8 მუხლი აყალიბებს ამ პროცესის განხორციელების ეტაპებს. ეს ეტაპებია: გამოკითხვების ჩატარება, გამოკითხვა და ანალიზის საფუძველზე ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტის წარდგინება სკოლის დირექტორისთვის. დოკუმენტის დამტკიცება და ბოლოს მისი საჯაროობის უზრუნველყოფა. აღნიშნული პროცესების განხორციელება დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიის“ მე-12 მუხლის შესაბამისად სკოლას განსაზღვრული აქვს ნებისმიერი ინფორმაციის მათ შორის სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტის გაზიარების ფორმები და საშუალებები.სკოლის ვებ-გვერდი,ელექტრონული ფოსტა,სოციალური ქსელი,საჯარო შეხვედრები უკუკავშირის მიღების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის დერეფანში. რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და მის სრულ საჯაროობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სრული სახელწოდებაა სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის #448 დადგენილებით, რაც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ ტერმითან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების,მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული“ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“,რომელიც აღწერს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემადგენელ ნაწილებს,პრინციპებს,მასში მონაწილე მხარეებს.ასევე განსაზღვრავს ამ დოკუმენტების დამტკიცების,საჭიროების შემთხვევაში

ცვლილებების შეტანის პროცესს.სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასების და მის საფუძველზე ანგარიში მომზადების ეტაპებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შვიწლიანია და მოიცავს 2023-2030 წლებს, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. მის პრეამბულაში ჩამოყალიბებულია სტრატეგიის მიზანი. კერძოდ დოკუმენტი შექმნილია მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნებისა და მისი შესაბამისი ამოცანების გამჭირვალედ შესასრულებლად. დოკუმენტი მოიცავს რამოდენიმე თავს, რომლებშიც აღწერილია დოკუმენტაციის შედგენისა და დახვეწის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების, რესურსების განახლების, უსაფრთხო გარემოს შექმნის, მშობელთა ჩართულობის გაძლიერების, აღმზრდელობით საკითხში არსებული ბერკეტების გაძლიერების პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული, პედსაბჭოს მიერ განხილული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. დოკუმენტის პრეამბულაში გაწერილია რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება 21-ე საუკუნის უნარების -სწავლის, წიგნიერების და ცხოვრებისეული უნარების განვითარებას. სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებულია სამივე მიმართულებით და ეფუძნება ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, მასში ასახულია სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების და აქტივობები, ასევე შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმა
- სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის 1.3.4. თავი მოიცავს მონიტორინგის და შეფასების პროცესს. კერძოდ მონიტორინგის პროცესი განსაზღვრავს რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში, ხოლო შეფასების პროცესი კი განსაზღვრავს რამდენად მოაქვს შედეგი განხორციელებულ აქტივობებს. კვლევა და შეფასება ტარდება შეთანხმებული ფორმით სამი მიმართულებით: ა) მოსწავლეთა შედეგები მიხედვით ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის“ ბრძანება. შვიდკაციანი ჯგუფი შედგება ადმინისტრაციის,მასწავლებლების და მშობლებისაგან. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტი ამტკიცებს მეთოდოლოგიას, რომლის მე-11 მუხლის საფუძველზე მიმდინარეობს შესრულების მონიტორინგი და ამ მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების და სამეურვეო საბჭოს ოქმების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ყოველ წლის ბოლოს ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და შედეგებს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შედეგად დგინდება, რომ კომისიის მიერ სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი თითოეული მიზანის შესაბამისად შეფასებულია 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება. ანგარიშის მიზედვით სრულად შესრულებულია სტრატეგიის სამი მიზანი, ხოლო ერთი მიზანი მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა კი ნაწილობრივ. ამ მიზნის მისაღწევად სამუშაო ჯგუფი ნერგავს დამატებით აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მონიტორინგის შედეგები მას შემდეგ რაც განიხილავენ სამეურვეო საბჭოზე და მოისმენენ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს, სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი იწყებს მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობას, რომელიც ეფუძნება წინა წლის მონიტორინგის შედეგებს. კერძოდ გათვალისწინებულია წარმატებით განხორციელებული და ჯერ კიდევ განუხორციელებელი აქტივობების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმის შემუშავების,მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

“ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტს. წესდებაში მოცემულია ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. გარდა ამისა სკოლის დირექტორის 2024 წლის 5 სექტემბრის N131 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება“, რომელიც გარდა ზემოთ ხსენებული სტრუქტურული ერთეულებისა, დამატებით

მოიცავს სხვა სტრუქტურულ ერთეულებსაც და განსაზღვრულია ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. ამასთან ერთად, სტრუქტურული პირების ფუნქციები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- „სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება“და მისი დამტკიცების ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი -„სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება“, რომელიც სკოლი და მაშასადამე პერსონალის მართვასთან

დაკავშირებით აცხადებს, რომ ხელმძღვანელობს „საჯარო სკოლის წესდებით“; „საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ“, ხოლო დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები ხორციელდება - მინისტრის შესაბამისი ბრძანებების მიხედვით. განსაზღვრულია სკოლის მართვასთან დაკავშირებული სხვა პროცესები, რომლებიც სტრუქტურული პირებისგან ხდება. გარდა ამისა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი აღნიშნულ დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შინაგანაწესში არის მუხლი „სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი“, რომელიც პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის მომწესრიგებელ რეგულაციებს შეიცავს. კერძოდ, აღწერს თანამშრომელთა ვალდებულებებს რა უნდა მოიმოქმედოს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რა ვადით ადრე უნდა შეატყობინოს სკოლას გაცდენის შესახებ და, რომ გაუფრთხილებლად გაცდენა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამცდენ მასწავლებელს ანაცვლებს იმავე საგნის სხვა მასწავლებელი; თუ სკოლაში საგნის ერთი მასწავლებელია, მისი გაცდენის შემთხვევაში ჩაანაცვლებს იმავე კათედრის სხვა მასწავლებელი, ან ჩატარდება სხვა საგნის გაკვეთილები, ხოლო მას შემდეგ, რაც გამცდენი მასწავლებელი დაუბრუნდება სკოლას, ის აანაზღაურებს გაცდენილ გაკვეთილებს იმ საგნის საათების ხარჯზე, რომელიც მისი გაცდენის დროს ჩატარდა. სკოლამ წარმოადგინა გაცდენისა და ჩანაცვლების ჟურნალი, სადაც ჩანს ჩანაცვლების ფაქტები. როგორც ინდიკატორის აღწერის დასაწყისში აღინიშნა, სკოლას მხოლოდ შეტყობინების წესი აქვს გაწერილი თუმცა არ არის აღწერილი ის,რასაც აკეთებს სკოლა, გაცდენის შემთხვევაში, თუ პერსონალიდან რომელიმე მათგანი არ ცხადდება სამსახურში. სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც განახორციელოს შენაცვლება/ჩანაცვლების არსებული პრაქტიკა. სკოლამ ასევე გამოთქვა მზაობა და სურვილი დაამატოს შინაგანაწესს პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის სრულყოფისთვის შესაბამისი რეულაციები. **სკოლას ეძლევა რჩევა შინაგანაწესში, პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის დაამატოს რეგულაციები, რომელიც სკოლის აქტივობებს აღწერდა პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.**

აღსანიშნავია, რომ სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ვიზიტის შემდგომ შემუშავებული და დამტკიცებული (17.11.2025, ბრძანება N247) „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტი“, რომლის მე-9 მუხლში აღწერილია პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა.</u>
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ ვიზიტის დროს გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ვაკანტურ პოზიციაზე კანონის შესაბამისად აცხადებს კონკურსს, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შიდა რეგულაციებით განსაზღვრული კონკურსის წესი. ამასთან ერთად, საკონკურსო კომისია არ არის დაკომპლექტებული მოქმედი წესის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, კომისიის შემადგენლობაში მოწვეულია რესურსცენტრისა და სამინისტროს წარმომადგენელი, წესის შესაბამისად, მაგრამ არ არის მოწვეული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, პროფკავშირების წარმომადგენელი და დამოუკიდებელი წევრი. სხვა ყველაფერი სკოლას გაკეთებული აქვს კანონის შესაბამისად. სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე თუმცა მათში დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. კონკრეტულად: სკოლის 43 პერსონალიდან პირად საქმეებში დიპლომი არ აქვს 3 მასწავლებელს; „ნასამართლობის“ ცნობა არ აქვს 15 თანამშრომელს; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ - 29-ს; ნარკოლოგიური ცნობა, რომელიც სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნაა არ აქვს 21-ს; ჯანმრთელობის ცნობა, რომელსაც ასევე შინაგანაწესი ითხოვს არ აქვს16 თანამშრომელს; 13-ს არ აქვს პირადობის მოწმობის ასლი ან ვადაგასულია, ხოლო 27 თანამშრომელს არ აქვს CV/ავტობიოგრაფია. რაც შეეხება **ცნობას "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" არც ერთ თანამშრომელს (სულ 43 პირი) არ აქვს წარმოდგენილი.** სკოლას განემარტა, წარმოედგინა რომ 2020 წლის იმ პერიოდის პერსონალის სია, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავად გადაამოწმა სკოლების პერსონალი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის“ რეესტრში " რათა ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გამხდარიყო ვინ იყო უწყვეტად დასაქმებული გადამოწმების პერიოდიდან (რომლებისთვისაც ამ ცნობის წარმოდგენა არ იქნებოდა სავალდებულო), მაგრამ ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იქნა მოწოდებული ეს სია. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აცხადებს, რომ კადრების შერჩევის პროცედურებს

შეიმუშავებს და ასევე მოაწესრიგებს პირად საქმეებს. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს „კადრების შერჩევის პროცედურები სკოლის დონეზე და ასევე შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ცნობების გარდა გაითვალისწინოს ინდიკატორში აღწერილი ყველა დანაკლისი. ამ აქტივობის შესრულების ვადებია 31.10.2025-30.12.2025**.

<u>არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლა იტყობინება, რომ 43 თანამშრომლიდან უფლების ჩამორთმევის ცნობა უკვე აიღო 34. მაგრამ არაფერს ამბობს სხვა ცნობების აღებაზე და პირადი საქმეების მოწესრიგებაზე. ამასთან, სკოლამ გამოაგზავნა ახალი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ინდიკატორში აღწერილი შეუსაბამობის აქტივობის შესრულების ახალი ვადაა მითითებული 1/3/2026 (ნაცვლად 30.12.2025), მაგრამ, რადგანაც ეს ახალი თარიღი არსებითად არ ცვლის ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილების გარემოებას, რადგან ვადა არ აღემატება 12 თვეს, შესაბამისად, ჩაითვლება, რომ ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა, სპეციალურ მასწავლებლის და ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი, ასევე დაკმაყოფილებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანარჩენი თანამშრომლების შემთხვევაშიც, საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლას გაწერილი აქვს დოკუმენტში - „სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება“. რომელშიც სკოლის სხვა თანამდებობის პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია გაწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია კოლეგიური ორგანოები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა), რომელთა ფუნქციები გუნდურობას

და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. გადაწყვეტილებების მიღების წესი სკოლის წესდებაშია გაწერილი. გუნდურობისა და მონაწილეობითი კულტურითაა შემუშავებული სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. გუნდურობის პრინციპზეა აგებული სკოლის ვაკანტური პოზიციის შევსების კონკურსის გამოცხადებისა და კანდიდატთა შერჩევის წესიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმია წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა წახალისების შესახებ ბრძანების რამოდენიმე ნიმუში. რაც შეეხება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სკოლაში გამოცდილების გაზიარება ხდება კათედრაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება;

- პრემიის გაცემის ბრძანებები;
- „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტი“;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“, რომლის მიხედვითაც ჯგუფის მინიმუმ 2 წევრი ესწრება გაკვეთილებზე, რომლის ფარგლებში ხდება საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლამ წარმოადგინა კიდეც გაკვეთილზე დასწრების გეგმა/გრაფიკი და გაკვეთილზე დასწრების შეფასება, რომლის თანახმად სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული საჭიროებების დადგენას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

„ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების“ IV თავში (მასწავლებელთა პროფესიული განვითარება) გაწერილია, რომ გაკვეთილზე დასწრებისა მასწავლებლის საქმიანობის შეფასების შემდეგ, ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და გამოვლენილი საჭიროების მიხედვით სკოლა/ჯგუფი ადგენს პროფესიული განვითარების პროგრამას, რომელშიც აისახება სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება; მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და ტრენინგების გავლის მტკიცებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

გასული წლების პრაქტიკიდან ჩანს, რომ სკოლა კარიერულ ზრდას და პროფესიულ განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს. გასულლ წელს საჯარო სკოლების დაფინანსების ცვლილებასთან დაკავშირებით ტრენინგი გაიარეს სკოლის დირექტორმა და ბუღალტერმა; სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს ტრენინგის ან რაიმე პროფესიული აქტივობის განხორციელების შემთხვევაში შეუდგინოს მასზე მორგებული მოქნილი ცხრილი, რომელიც ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალი თანამშრომლის მიღებისას აკეთებენ ყველაფერს, რომ ახალმა თანამშრომელმა გაიცნოს სამუშაო სივრცე. კერძოდ, ეს აქტივობები მოიცავს სკოლის დათვალიერებას, სასკოლო დოკუმენტაციის და მისი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობას, ასევე მისი წარდგენა სხვა თანამშრომლებთან ან/და თუ მასწავლებელია წარდგენა კლასის წინაშე. ასევე, მისი ჩართვა სხვადასხვა ვირტუალურ ქსელებში და ჯგუფებში, მათ შორის ელექტრონულ ჟურნალში, Eflow-სა და eschool-ის ბაზებში. ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი დათმობილი აქვს კათედრის თავმჯდომარეს,

დირექტორის მოადგილეს და საქმისმწარმოებელს. **სკოლას ეძლევა რჩევა: წესის (რეგულაციის) სახით გაწეროს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი**.
აღსანიშნავია, რომ სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ვიზიტის შემდგომ შემუშავებული და დამტკიცებული (13.11.2025, ბრძანება N244) „ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურები“.</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას ჰყავს წარმატებული ადამიანური რესურსი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სპორტის მასწავლებლის წარმატება, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონია ნიჩბოსნობაში და სკოლაც თავის მხრივ აქტიურ მხარდაჭერას უწევს ამ პედაგოგს. სკოლის ფოიეში გამოფენილია სკოლის პერსონალის (და მოსწავლეების) წარმატების დამადასტურებელი თასები და სიგელები. გარდა ამისა, სკოლაში ხშირად ხდება წახალისება, მათ შორის პროფესიული განვითარების დროს გამოჩენილი წარმატებისთვის. რაც დასტურდება სკოლის მიერ გადმოგზავნილი წახალისების შესახებ გამოცემული ბრძანებებიდან.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გაკვეთილზე დასწრების მასალები;
- პროფესიული განვითარების გეგმა;
- დირექტორის მიერ პრემიის გაცემის ბრძანებები;
- სამინისტროს მიერ გაცემული თანამშრომელთა სერთიფიკატები;
- „ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურები“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" (N134, 06.09.2024). დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასება, კომკრეტულად კი კურიკულუმის შემუშავება/განვითარება ხორციელდება ხარისხის მართვის ერთ-ერთ- გავრცელებული ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) მიხედვით. დოკუმენტით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის და პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება, ასევე მათი განხორციელების შეფასება, ასევე გათვალისწინებულია ადამიანური და მატერიალური რესურსის გაუმჯობესება, მათი შეფასების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრით.

სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებიც ასევე ექვემდებარება ამ ციკლის მოქმედებას. მაგალითად სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელება შემოწმება/შეფასებისა და განვითარების

ეტაპები. ასევეა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება და ბოლოს გადასინჯვა და რევიზია. ხარისხის უზრუნველყოფას ემსახურება სკოლაში შექმნილი ჯგუფი და მათი დებულება - „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას არ აქვს ერთიანი დოკუმენტი სადაც ეს პროცესები თავმოყრილად აღწერილი იქნებოდა, ტუმცა ცალეულ დოკუმენტებში აღწერილია პროცესები, რომლებიც მოიცავენ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მაგალითად ფილოსოფიის (სტრატეგიული დაგეგმვის) შემუშავების მეთოდოლოგიაში განმარტებულია, რომ ეს პროცესები მიეკუთვნება მმართველობით პროცესებს. ძირითადი პროცესები აღწერილია სასკოლო კურიკულუმებში და კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, დამხმარე პროცესები აღწერილია შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის დებულებაში და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის წესდების მე-5 მუხლის, 1-ლი, თ) ქვეპუნქტის მიხედვით სამეურვეო საბჭო განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მ) ქვეპუნქტის მიხედვით სკოლის დირექტორი გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-15 მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჩივრის განხილვის ზოგად რეგულაციებს (როდის იხილავს საჩივარს დირექტორი, როდის სამეურვეო საბჭო) და ვადებს. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს „სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა“ (N135, 06.09.2024), რომელშიც განმარტებულია, რომ „აღნიშნული

სახელმძღვანელო ინსტრუქცია განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვის და შედეგის დადგენის პროცედურებს“. შესაბამისად ეს წესი უფრო აკონკრეტებს წესდებაში მოცემულ რეგულაციებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი რომლითაც პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებებზე და მათი დაცის მექანიზმებს აღწერდა. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა მზაობა დოკუმენტის შემუშავების, მაგრამ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ დოკუმენტებთან ის არ აღმოჩნდა, რის გამოც **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იყო**.
<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ახალი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ვიზიტის შემდგომ შემუშავებული და დამტკიცებული (11.11.2025, ბრძანება N240) „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცის დებულება“, მართალია, სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში უწერია ამ ხარვეზის გამოსწორების შესახებ, მაგრამ ის უკვე გამოსწორებულია, შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითერებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება;
- „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და მისი დამტკიცების ბრძანება’
- სკოლის წესდება;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცის დებულება“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებაა სკოლის საინფორმაციო დაფას, ასევე სკოლის/კლასების სოციალურ ქსელი, წარმატებით გამოიყენება სკოლის ვებ-გვერდი და TEAMS. გარდა ამისა კლასების მიხედვით ხდება ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება მშობელთა კრებებზე. მშობლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ინფორმაციის მიღება/გაცემასთან დაკავშირებით პრობლემები არასდროს ყოფილა სკოლასტან ურთიერთობაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის და მართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ოქმებით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების დებულებები და მათი შეხვედრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

ა) სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ (N34, 18.02.2025). ამასთან, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია დარაჯები, რომლებიც აკონტროლებენ უცხო პირთა გადაადგილებას სკოლაში. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. გარდა ამისა სკოლას ჰყავს დარაჯები; სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სკოლის მანდატური.

ბ) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საიდანაც მიღებული აქვს 01.08.2025, MIA 1 25 02600272 შეტყობინება;

გ) 2019 წელს სკოლის შენობა შემოწმდა უფლებამოსილი ორგანოს - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ და სკოლას მისცა მიწერილობა N2440, 24.12.2019, რომლის მიხედვითაც სკოლას ჰქონდა გარკვეული დარღვევები (სულ 7 ერთეული), რომელთა გამოსასწორებლად სკოლას მიეცა გარკვეული ვადა, თითოეულისთვის ცალ-ცალკე, რომელთაგან მაქსიმალური ვადა იყო 30.11.2020 წელი. სკოლამ განახორციელა გარკვეული ქმედებები დარღვევათა გამოსასწორებლად და 2025 წლის 13 ოქტომბერს სკოლამ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ხელახლა გააგზავნა განცხადება შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის თხოვნით.

დ) სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა N5004637823, 20.07.2023. დასკვნის მიხედვით „მცხეთის მუნიციპალიტერის შოფელ ძეგვში მდებარე (ს/კ 27.11.07.313) საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისთვის ვარგისია. მცირე დაზიანებები უნდა იქნეს აღმოფხვრილი. რეკომენდირებულია ყალაურების მოწყობა და მათზე დაკვირვება, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დაზიანების გამომწვევი მიზეზის სწრაფი პრევენცირება.“

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას დამტკიცებული აქვს „პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ (09.10.2025, N175). სკოლას ჰყავს ექიმი და მოწყობილი აქვს სამედიცინო კაბინეტი შენობის პირველ სართულზე, როგორც ეს რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით. კაბინეტი აღჭურვილია და სკოლის ექიმი აწარმოებს დოკუმენტაციას, რომელიც შეესაბამება ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ბრძანებით მოთხოვნილ კრიტერიუმებს რადგან მას არ აქვს „პედიატრიის“; „საოჯახო მედიცინის“; ან „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრის“ სახელმწიფო სერთიფიკატი, მაგრამ აქვს „პირველადი სამედიცინო დახმარების”. სკოლის

წარმომადგენლის განმარტებით, რადგან რამოდენიმე ვაკანსიის გამოცხადების შედეგად ვერ აიყვანეს სათანადო კვალიფიკაციის ექიმი, იხელმძღვანელეს იმით, რომ აღნიშნული ბრძანება ნებას რთავს სკოლას „ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით“ და სათანადო კვალიფიკაციის ექიმის აყვანამდე, უექიმოდ დარჩენას ამჯობინეს, რომ ეს ექიმი არ გაეშვათ სამსახურიდან. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის აყვანა. ამ აქტივობის შესრულების ვადებია 31.10.2025-31.10.2026.**

მართალია, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ახალი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, მაგრამ ან ინდიკატორთან მიმართებით არაფერი შეცვლილა, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს მანდატური. შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

“ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა”. რადგან სკოლა ახორციელებს ამ ბრძანების მოთხოვნებს, შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ტელეფონის ნომერები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

„ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულებაში არის მუხლი 9 - „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, სადაც ასახულია სკოლის შენობის ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური და გენერალური დასუფთავების მოთხოვნები. სკოლის ექიმმა ინტერვიუს დროს ისაუბრა, რომ კონტროლს უწევს დამლაგებლების მიერ შენობის დასუფთავების ხარისხს და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების ჯგუფთან“ და შესყიდული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მომსახურეობა. სკოლას დაწყებული აქვს თანხმობების მოპოვება მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან, წარმოადგინა უკვე მოპოვებული თანხმობები პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე. ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ პერსონალურ მონაცემთა სამსახურის ვებგვერდზე. **სკოლას ეძლევა რჩევა: ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ დადოს სკოლის ვებგვერდზეც.**
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ინფორმაცია, რომელიც მატერიალური სახით არსებობს დაცულია სკოლის არქივში, გარდა ამისა სკოლაში არსებული ინფორმაცია არის ელექტრონულ მატარებლებზე - მონაცემთა ელექტრონული ბაზის სახით, რომელიც ასევე დაცულია გარეშე პირთა წვდომისგან - პაროლით. „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულებაში არის მუხლი 10 - „ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები“, სადაც ასახულია ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული სასკოლო რეგულაციები. გარდა ამისა, განსაზღვრულია, რომ წელწადში მინიმუმ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებს მომავალ მუშაობაში.,,შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს

ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **სკოლას ეძლევა რჩევა** იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან დასადები ხელშეკრულება;
- დამლაგებლების ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და მათი საქმიანობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - მცხეთის მინიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს შენობაში, რომელთა მესაკუთრეა სახელმწიფო და სკოლას გადაცემული აქვს უვადო და უსასყიდლო სარგებლობის უფლებით. სკოლის მისამართია, მცხეთა, სოფელი ძეგვი, პირველი ქუჩის N5. აღნიშნულ მისამართზე სკოლა ფლობს მიწის ნაკვეთს 17814 კვ.მ. ფართობით, სასწავლო შენობას, რომლის საერთო ფართია 1300,43 კვ.მ და დამხმარე შენობას გაშენების ფართით 27 კვ.მ..

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: 3 საკლასო ოთახი, სველი წერტილი გოგონებისთვის (მათ შორის, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე გოგონასთვის), სველი წერტილი ბიჭებისთვის (მათ შორის, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე ბიჭისთვის), სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი; მეორე სართულზე განთავსებულია: 7 კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა. სკოლა ფლობს მატერიალურ რესურს, მათ შორის მოსწავლეთა ასაკის მიხედვით სხვადასხვა ზომის მერხებისა და სკამების 307 კომპლექტს, რომელიც განთავსებულია 10 საკლასო ოთახში. სკოლას ავტორიზაცია მიღებულია აქვს 450 მოსწაცლეზე, ორცვლიანი სწავლების პირობებში, ანუ ერთ ცვლაში მაინც სკოლას უნდა გააჩნდეს მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის ნახევარი მაინც, რაც დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული დარბაზი და სხვა), მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამკიცებული აქვს დამტკიცებული აქვს კომპიუტრული ლაბორატორიის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და ბიბლიოთეკის დებულებები, რომლებშიც მოცემულია თითოეული მათგანის სარგებლობის წესი, რომლებიც ასევე ადასტურებენ სარგებლობის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, აქვს ბიბლიოთეკა და დებულება ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ (N187, 26.09.2023) რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, წიგნის გატანა/დაბრუნების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა. ბიბლიოთეკა განთავსებულიორ ოთახში ერთი წიგნების საცავია, მეორე წიგნების საცავთან ერთად სამკითხველოდაც გამოიყენება. ბიბლიოთეკაში არის 5 კომპიუტერი. ბიბლიოთეკის წიგნების ძირითადი ნაწილი (ის რაც სკოლის ბალანსზეა) დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში 4450 ერთეული. თუმცა, ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ნაჩუქარი წიგნები, რომლებიც არ იყო საბიბიოთეკო წესით დამუშავებული. სკოლას განემარტა, რომ ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნები უნდა იყოს აღრიცხული, ან/და თუ სკოლა ვერ ახერხებს წიგნების სკოლის ბალანსზე მიღებას - ჯობია, ასეთი წიგნები არ მიიღოს ჩუქებით. სკოლამ ამჯობინა, რომ წიგნები გაეტანა ბიბლიოთეკიდან და ვიზიტის დროს გაიტანა კიდეც. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას აქვს რესურსოთახი შენობის პირველ სართულზე, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით და ტექნიკით. ასევე ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის შენობას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად, მაგრამ ეტლით სართულებზე გადასაადგილებელი საშუალება არ არის. სკოლამ 2025 წლის 7 ოქტომბერს მიმართა ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (წერილი N 1299024), რომლითაც სთხოვს შუალდგომლობას მცხეთის მუნიციპალიტეტის

მერიის წინაშე, რათა შესრულებული იქნეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის 2023 წლის 20 სექტემბრის დასკვნაში მოცემული რეკომენდაცია - მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსის მოწყობა ან/და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს რჩევა - მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტის მოწყობის თაობაზე. ამ საკითხის მოგვარების მიზნით სკოლას აქტივობა გაწერილი ჰქონდა ავტორიზაციის მიღების მომენტისთვის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და აქტივობის ვადად განსაზღვრული ჰქონდა 15.09.2024 წ. ანალოგიური წერილი სკოლას გაგზავნილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოში 2023 წლის 29 დეკემბერს (MES 9 23 0001780535) და 2025 წლის 3 თებერვალს (MES 3 25 0000098446), მაგრამ დღემდე სკოლისთვის დახმარება არ აღმოუჩენიათ. ამის გამო, ინდიკატორის მოთხოვნები ვერ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებდეს სკოლის ინკლუზიურ გარემოს მოთხოვნებს (მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლისთვის გადაადგილების საშუალება მოაწყოს). ამ აქტივობის შესრულების ვადებია 31.10.2025-31.10.2027**

მართალია, <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ახალი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, მაგრამ ან ინდიკატორთან მიმართებით არაფერი შეცვლილა, შესაბამისად,</u> ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებული

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. მართალია სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მაგრამ ღონისძიებების განსახორციელებლად იყენებენ სკოლის ფოიეს. სკოლაში იმართება ხოლმე, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. ხშირად სკოლა თავისი ძალებით, მშობელთა ჩართულობით მარტავს ღონისძიებებს „ანბანშან შეხვედრა“; ‘შემოდგომასთან შეხვედრა“; „გაზაფხულთან შეხვედრა“ და სხვა. ზოგჯერ ამ ღონისძიებებზე მოწვეული არიან თემის წარმომადგენლებიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 72.11.07.313)

- ბიბლიოთეკის დებულება;
- კომპიუტერული ლაბორატორიის დებულება;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დებულება;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი;
- წერილები სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოში პანდუსის მოწყობის თხოვნით;
- წერილი რესურსცენტრში სკოლის შენობების სრულად ადაპტირების უზრუნველსაყოფად შესაბამის ორგანოში შუამდგომლობის თხოვნით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არის 55 პერსონალური კომპიუტერი და ლეპტოპი, 5 პროექტორი, 4 პრინტერ-სკანერი. მათგან კომპიუტერულ კლასში გამოიყენება 12 კომპიუტერი, ყველა მასწავლებელს გადაცემული აქვს თითო ლეპტოპი, დანარჩენი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტებშია. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, მათ შორის უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდიც, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად ხელს უწყობს ადმინისტარაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი (N185, 26.09.2023). წესის მიხედვით მიხედვით ლაბორატორიის სარგებლობის ძირითადი პრინციპებიდან აღსანიშნავია მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. დოკუმენტში განმარტებულია რა უფლება აქვს მოსწავლეს მასწავლებელს და სკოლის სხვა თანამშრომელს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისას და რა ეკრძალებათ. ასევე აღნიშნულია, რომ ლაბორატორიით სარგებლობის უფლება აქვს ყველას თანასწორობის პრინციპის დაცვით, იმ პერიოდში, თუ ლაბორატორიაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა 2025-2027 წწ. გეგმის მიხედვით სკოლას განზრახული აქვს შექმნას საზიარო სამუშაო სივრცეები მოსწავლეებისთვის მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის. განსაზღვრულია საჭირო ტექნოლოგიური რესურსი და მოსალოდნელი შედეგები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების სტრატეგია;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1273?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%

A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი“ (N225, 22.11.2025). დოკუმენტი ძირითადად კანონის შესაბამისია. განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტი: ა) შემოსული; ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია (ბრძანებები, წერილები, მოხსენებითი ბარათები, ახსნა-განმარტებითი ბარათები, შრომითი ხელშეკრულებები და ოქმები მიკუთვნებულია შიდა დოკუმენტაციას). თითოეული დოკუმენტაცია აღირიცხება (რეგისტრირდება) შესამაბის ჟურნალებში. საქმისწარმოების წესში აღწერილია რეკვიზიტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული სახის დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო **echool.emis.ge** სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა "სსიპ - მცხეთის მინიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა". პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად, სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის, სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლის „საქმისწარმოების მეთოდოლოგია";;
- სკოლის „საქმისწარმოების წესი";
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე;

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც სკოლის შესახებ ზოგადი სახის ინფორმაციაა ასახული. ვებ-გვერდზე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია (მითითებულია სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი). მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული ინფორმაციისა და ექსპერტთა შესწავლილი მტკიცებულებისა და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის თანხვედრით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა აცხადებს, რომ სასკოლო საზოგადოების აზრი მისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ ხშირად ხდება მათი გამოკითხვები და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება სკოლის სხვადასხვა საქმიანობაში. მაგალითად ფილოსოფიის შემუშავების პროცესსი, სკოლამ გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების არზრი. სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კვლევის მასალები, რომელშიც კითხვები ეხება მშობელთა კმაყოფილებას სკოლის ინფრასტრუქტურას, დირექციასთან ურთიერთობას, სწავლებას და არაფორმალურ განათლებას და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, ასევე არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სკოლის წესდება, მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი მოსწავლის ადაპტაციის წესი, ასევე, მოკლე ფინანსური ანგარიში და სკოლის ბიუჯეტი. და სამოქმედო გეგმის ანგარიში. რადგან სკოლას აქვს დოკუმენტებში გასაჩივრების შესახებ (ინდიკატორი 3.3.1.3.) და ასევე გაკეთებული აქვს სამოქმედო გეგმის ანგარიში (ინდიკატორი 1.2.2.3.) **სკოლას ეძლევა რჩევა: ვებ გვერდზე დაამატოს გასაჩივრების მექანიზმები და სამოქმედო გეგმის ანგარიში.**
აღსანიშნავია, რომ სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა ვიზიტის შემდგომ შემუშავებული და დამტკიცებული (11.11.2025, ბრძანება N239) „გასაჩივრების დეტალური პროცედურების დებულება“ და ატვირტა სკოლის ვებგვერდზე. ასევე ატვირთა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი გვერდი;
- მშობელთა კმაყოფილების კვლევის მასალები;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/435?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 ;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. ბიუჯეტი და ოქმი ვებ-გვერდზეცაა ატვირთული. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცებული შესყიდვების გეგმა;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლა მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას უზრუნვეყოფს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „სკოლის შინაგანაწესით,რომელიც განსაზრვრავს მოსწავლეთა სკოლაში ჩაცმულობის, წახალისების,დისციპლინური გადაცდომის წესებს და მათი გადაცდომის შემთხვევაში რეაგირების ფორმებს.წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის,ამორიცხვის,სტატუსის შეცერების წესი“, „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ და „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი“ ამ უკანასკნელი დოკუმენტის მიზანია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერა, პოზიტიური გარემოს შექმნის ხელსეწყობა, საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით აქტივობების განხორციელება და საკოლო კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდეგნილის მოსწავლის უფლებების დამცავი სასკოლო რეგულაციები,გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.სადამრიგებლო პროგრამის გაცნობის შედეგად დასტურდება რომ ამ პროგრამის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების უფლება-მოვალეობების გაცნობა გააზრება,რაც ხელს შეუწყობს საკუთარი და სხვისი უფლება -მოვალეობების გაცნობასა დაცვას.სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი თავია მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში.მისი მიზანია „ზოგადი განათლებისშესახებაქართველოს კანონით აღიარებული მოსწავლეთა უფლებების და თავისუფლების აღიარება.რაც ასევე დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები,ცალკეა გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძრვანელოებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით,სადაც ასევე გაწერილია მოსწავლის,მშობლის და სკოლის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი;
მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების წესი;

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, მობილობის და შეწყვეტის წესი, რომელიც განსაზღვრავს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის და სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული რამოდენიმე ბრძანება მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვის,ჩარიცხვის,სტატუსის შეჩერების შესახებ,წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას დასტურდება სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.კერძოდ მოსწავლეთა პირად საქმეებშიკანონმდებლობის შესაბამისად აღრიცხულია მოსწავლის შესაბამისი პროცედურა(ჩარიცხვა,ამორიცხვა,სტატუსის შეჩერება).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლამ წარმოადგინა 2023წლის 13 სექტენბერს სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სახელოვნებო-სამეცნიერო წრის დებულება.რომლის მიზანია სახელოვნებო-საგანმანათლებლო ბაზის შექმნა,სასკოლო პროგრამების მხარდაჭრა და მოსწავლეებში იმ უნარების განვითარება, რომელიც მათ შემდგომ წარმატებას განაპირობებს.წრის წევრობა ნებაყობილობითია, წრის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი საფეხურის მოსწავლე,რომელიც იზიარებს წრის მიზნებს.სკოლა მოსწავლეებს სთავაზაობს ტრანსპორტირების სერვისს,რომელიც ხორციელდება შეაბამისი მარეგულებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების შედეგად.კერძოდ, **განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში.**
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ შეთავაზებული ინფრომაცია სატრანსპორტო მომსახურეობასთან და სახელოვნები-სამეცნიერო წრესთან დაკავშირებით არის კანონმდებლობის შესაბამისი,გამჭირვალე,არადსიკრიმინაციული რაც დასტურდება მომსახურების დებულების გაცნობით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. თუმცა დებულება წრის შესახებ საჭიროებს განახლებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- ცეკვის წრე.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი' რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა შემთხვევაში. ამ დოკუმენტის მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ ფაქტორებსა და პრინციპებს,რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა მობილობისას ან პირველკლასელთათვის.კერძოდ გასათვალისწინებელია მოსწავლის ინდივიდუალური ხასიათი, და-ძმის გამოცდილება, დამრიგებლის, ფსიქოლოგის და მშობლის როლი და მოსწავლეთა შესაძლებლობები.დოკუმენტში ჩამოთვლილია ადაპტაციისა და დეზაპტაციის ნიშნები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლა მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესს იმ მექანიზმების გამოყენებით,რომელიც მითითებულია სკოლის მიერ წარმოდგენილ „მოსწავლეთა ადაპტაციის წესში"კერძოდ, მაქსილამლურად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, და-

ძმის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადაპტაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები დამრიგებელი, მშობელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმაში 10.2 თავში გაწერილიასაშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში მოსწავლეს კონსულტაცია ენიშნება საჭირო დროით.ასევე განსაზღვრულია ექსტერნის ფორმით გამოცდის ჩატარების პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას,როგორც მშობელს ისე მოსწავლეს სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერ ინფრომაციის შესახებ. ეს იქნება კონკურსი,დამატებითი მეცადინეობა,თუ ექსტერნის გამოცდის განრიგი და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების განრიგი.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექნიზმები.“რომლის მიზანია სასკოლო საზოგადოებისთვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა,მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით და მათი ღირსების დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“,რომლის მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფრომირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა,არსებული სირთულეების,საჭიროებების და ინიციატივების

იდენტიფიცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების და აქტივობების განხორციელება. აღნიშნული დებულება ხელს უწყობს მოსწავლის ხარისხიანი განათლების,პოზიტიური სასწავლო გარემოს და სასკოლო კულტურის განვიტარებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინციატივების მხარდაჭერის წესი“-ის მე-3 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლის ინციატივების წარდგენის პროცედურებს.კერძოდ მოსწავლე ან მოსწავლეთა ჯგუფი მათ მიერ შემუშავებულ ინციატივას წარუდგენს დამრიგებელს, მოსწავლეთა თვითმმართველობას ან დირექციას წერილობითი ან ზეპირი ფორმით.ამ დებულების შესაბამისად სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინციატივების ფინანსურ მხარდაჭერას,საინციატივო ჯგუფთან შეხვედრის შედეგად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფსიქოლოგიურად უსაფრთო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სამეცნიერო წრის დებულება;
- მოსწავლეთა ინციატივების მხარდამჭერი წესი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამის გაცნობის შედეგად დადგინდა,რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლა და კონკრეტული

დამრიგებელი სადამრიგებლო კლასში ახორციელებს აქტივობას „ჩემი მომავალი პროფესია“.ამ აქტივობის ფარგლებში ხდება ინტერესის სფეროს გამოვლენის მიზნით გამოკითხვები და შედეგების გათვალისწინებით მომავალი აქტივობების დადგენა.გამოვლენი პოფესიების შესახებ მეტი ინფორმირებულობისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლა სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში აწყობს ექსკურსიებს პროფესიულ კოლეჯებსა და სხავადსხვა სახის უნივერსიტეტბში კერძოდ მოსწავლეებთან შეხვედრის დროს მათ აღნიშნეს,რომ იყვენე ექსკურსიაზე თავისუფალ უნივერსიტეტში და ადგილზე გაეცნენ იქ არსებულ სიტუაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადინდა,რომ სკოლა თვითმმართმმართველობის ფარგლებში ატარებს გამოკითხვებს რის საფუძველზეც დგინდება მოსწავლეთა ინტერესები და ამ ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება პროექტები.კერძოდ STEM-ის ფარგლებში ამზადებენ საინტერესო პროექტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სადამრიგებლო საათი**

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმების“ ამსახველი დოკუმენტი,რომლის მიზანია უზრუნველყოს თანაბრად ხელმისაწვლდომი გარემოს შექმნა,სადაც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხარისხიანი განათლების მიღებით.დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი საჭიროების გამოვლენის და მასზე დროული რეაგირების მექანიზმები,ისგ ჯგუფის ფორმირების და ინდივიდუალური გეგმის შექმნის, განხორციელების და რეაგირების პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოადგენილი „სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტისსოფელ ძეგვის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ამსახველი მექანიზმების“ დოკუმენტის მიხედვით სკოლა სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში დეტალურად გეგმავს სწავლების სტრატეგიებს და აქტივობებს,მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ისგ ჯგუფთან ერთად ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმას.ისგ ჯგუფი შედგება მოსწავლის დამრიგებლის,საგნის მასწავლებლების,ინკლუზიურ განათლებაშუ ჩართული სპეციალისტის,სსმ მოსწავლის კანონიერი წარმოადგენლისგან.ისგ ჯგუფის თითოეული წევრის აქტიური ტანამშრომლობის საფუძველზე იქმნებაისეთი ინდ გეგმა,რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს გახანგრძლივებილი სწავლება, მოსწავლეებს სტავაზაობს ტრანსპორტირების სერვისს,რომელიც ხორციელდება შეაბამისი მარეგულებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების შედეგად. კერძოდ, **განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროექტის ფარგლევში.** ასევე სკოლას შენობის პირველ სართულზე მდებარე 14,41 კვ.მ ფართი დროებით სარგებლობაში იჯარის ფორმით გადაეცა ინდ მეწარმეს, ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 30 დეკემბერს ორი წლის ვადით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საიჯარო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი „სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლაში კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცების“ ბრძანება. სკოლას მიეცა რჩევა ბუფეტის მეპატრონემ მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ინსპექტირების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული არასავალდებული ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტით უზრუნველყოფა,ბუფეტის სარგებლობა,სახელოვნებო-სამეცნიერო წრე) ხორციელდება ნებაყოფილობის პრინციპით,რაც დასტურდება თითოეულ მომსხურების გაწევის ხელშეკრულებით და შესაბამისი დებულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

რაც შეეხება ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამას ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული წესების დაცვით და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბუფეტის იჯარის ხელშეკრულება
- ბუფეტის მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი
24.11.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: მანანა ალიბეგაშვილი